საქართველოს მთავრობის

დადგენილება №314

2024 წლის 3 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №558 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №558 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2023, 280120000.10.003.024391) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. №1 დანართის („სოციალური რეაბილიტაციის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამა“):

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები (კომპონენტები)

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 21 040 000 ლარს. პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები და კომპონენტებია:

დანართის №	ქვეპროგრამის/კომპონენტის დასახელება	ლარი
1.1	**დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის (შშმ პირები) ქვეპროგრამა**	3 200 000
1.1.1	დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის (შშმ პირები) კომპონენტი	3 060 650
1.1.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდამჭერი საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების კომპონენტი	139 350
1.2	**დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**	7 740 000
1.2.1	ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი	2 279 310
1.2.2	აბაზანის/საპირფარეშოს დამხმარე სკამებით უზრუნველყოფის კომპონენტი	5 000
1.2.3	საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი	3 496 880
1.2.4	სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი	1 909 350
1.2.5	ყრუ და სმენის არმქონე შშმ პირთა ვიდეოკონფერენციის ფუნქციის მქონე ტექნიკური საშუალებით (სმარტფონი) უზრუნველყოფის კომპონენტი	21 000
1.2.6	ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი	14 460

1.2.7	უსინათლოთა ხელჯოხებით უზრუნველყოფის კომპონენტი	14 000
1.3	**ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა**	80 000
1.4	**სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა:**	9 000 000
1.4.1	ხანდაზმულთა და შშმ პირთა სათემო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
1.4.2	შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობისთვის მცირე საოჯახო ტიპის მომსახურების უზრუნველყოფის კომპონენტი: ა) შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი; ბ) ალტერნატიული საცხოვრისით უზრუნველყოფის კომპონენტი; გ) ფსიქიკური დარღვევების მქონე შშმ პირთა მცირე საოჯახო ტიპის მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
1.4.3	18 წლისა და მეტი ასაკის ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ალტერნატიული საცხოვრისით უზრუნველყოფის კომპონენტი	
1.4.4	ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი	
1.5	**ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა**	20 000
1.6	**პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**	560 000
1.7	**შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**	440 000
	ჯამი:	**21 040 000.“;**

ბ) №1.1 დანართი („დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის (შშმ პირები) ქვეპროგრამა“) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

გ) №1.2.6.1 დანართი („ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის ქვეკომპონენტი“) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. №2 დანართის („ბავშვზე ზრუნვისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამა“) №2.1.3 დანართის („ფენილკეტონურის/ ცელიაკიის საკვები ვაუჩერით უზრუნველყოფის კომპონენტი“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ვაუჩერი გაიცემა (არაუგვიანეს მეურვეობა-მზრუნველობის ქვეპროგრამის განმახორციელებელი სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თვიდან მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით) მოსარგებლის კანონიერ წარმომადგენელზე, რომელიც უზრუნველყოფს ვაუჩერის მოქმედების თვის განმავლობაში საქონლის მიმწოდებლისათვის ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონის გადაცემას;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**